საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/42

ქ. ბათუმი 18 თებერვალი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2021- 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 04 თებერვლის №01-08/25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე და მე-100 მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №01-02/195 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის'', საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 18 თებერვლის MES 4 22 0000167001 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2021- 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 04 თებერვლის №01-08/25 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციაგაუვლელ ბსუ-ს საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა მიმართ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნას 2022 წლის 15 მარტის ჩათვლით.''

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სტუდენტებისათვის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით (სტუდენტთა საჯარო ინფორმირება).
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ნანა მაზმიშვილს (თარგმნისათვის).
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**